

ილია
ვეკუა

ბიობიბლიოგრაფია



ИЛЪЯ
ВЕКУА

БИОБИБЛИОГРАФИЯ

მეცნიერება

МЕЦНИЕРЕБА

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა
ЦЕНТРАЛЬНАЯ НАУЧНАЯ БИБЛИОТЕКА


ბიობიბლიოგრაფიული სერია „ქართველი მეცნიერები“
Биобблиографическая серия «Грузинские ученые»



История
Векуа

(1907 - 1977)

Биобиблиография



Издательство «Мецниереба»

Тбилиси.

1987

ი
ე
კ
ე
კ
უ
ა

(1907-1977)

ბიოხიმიოლოგია



გამომცემლობა «მეცნიერება»

თბილისი

1987

გამოჩენილი საბჭოთა მათემატიკოსის, აკად. ი. ვეკუას ბიობიბლიოგრაფია მოიცავს 1925—1986 წლების ლიტერატურას: სამეცნიერო შრომებს, მისი რედაქციის გამოცემულ შრომებს და ლიტერატურას მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურად. ცალკეა გამოყოფილი საიუბილეო თარიღები, გარდაცვალება და დაკრძალვა. ბიობიბლიოგრაფიას წინ უძღვის ი. ვეკუას სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა. ერთვის ძირითადი შრომების და პირთა ანბანური საძიებლები.

Биобиблиография выдающегося советского математика, академика И. Н. Векуа содержит материал, охватывающий 1925—1986 годы: научные труды, труды изданные под его редакцией и литературу о нем.

Материал расположен хронологически. Отдельно выделены юбилейные даты, смерть и похороны. Биобиблиографии предпослан краткий обзор научной и общественной деятельности И. Н. Векуа. Прилагаются указатели: основных трудов и именной (алфавитный).

ბიობიბლიოგრაფიული სერიის მთავარი სარედაქციო კოლეგია: გ. ჯიბლაძე (მთ. რედაქტორი), ა. აფაქიძე, ლ. გაბუნია, ვ. გომეზაური, მ. დარასელია, თ. ონიანი, შ. ძიძიგური, ა. ცაგარელი, გ. ციციშვილი, ჯ. ლომინაძე, ს. ხადური, ნ. გურგენიძე (მდივანი).

შემდგენლები: ნ. ბალათური, ე. დოლიძე
რედაქტორები: ე. ობლაშვილი, ნ. გურგენიძე
ბიბლიოგრაფიული რედაქცია ი. დუდუჩავასი

Главная редакционная коллегия биобиблиографической серии: Г. Н. Джигладзе (гл. редактор), А. М. Апакидзе, Л. К. Габуня, В. И. Гомелаури, М. К. Дараселия, Т. Н. Ониани, Ш. В. Дзидзигური, А. Л. Цагарели, Г. В. Цицишвили, Дж. Г. Ломинадзе, С. А. Хадური, Н. А. Гургенидзе (секретарь)

Составители: Н. В. Багатуриа, Э. Г. Долидзе
Редакторы: Е. И. Оболашвили, Н. А. Гургенидзе
Библиографическая редакция И. М. Дудучава



ილია ნესტორის ძე ვეკუა

(სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის
მოკლე მიმოხილვა)

ილია ნესტორის ძე ვეკუა ეკუთვნის იმ მოღვაწეთა რიცხვს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მსოფლიო მეცნიერების საგანძურში. მან წარუშლელი კვალი დატოვა არა მარტო როგორც გამოჩენილმა მეცნიერმა, არამედ როგორც მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების დიდმა ორგანიზატორმაც.

ი. ვეკუა დაიბადა 1907 წლის 23 აპრილს სოფელ შეშელეთში (გალის რაიონი). 1925 წ., ქ. ზუგდიდის საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1930 წ. ამავე წელს სწავლა განაგრძო ლენინგრადში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში. ასპირანტურის წლებში (1930—1933 წწ.) ა. კრილოვის, ნ. მუსხელიშვილისა და ვ. სმირნოვის ხელმძღვანელობით ი. ვეკუა სპეციალისტდება მათემატიკური ფიზიკის განტოლებებში. კომპლექსური ცვლადის ფუნქციითა თეორიის მეთოდების გამოყენებით მან შეისწავლა დრეკადობის თეორიის სტატიკისა და დინამიკის მრავალი ამოცანა, შექმნა მნიშვნელოვანი შრომები, რომლებიც მიეძღვნა პარალელური ბრტყელი საზღვრების მქონე უსასრულო შრეში დრეკადი ტალღების გავრცელების თეორიას. ეს შრომები საფუძვლად დაედო მის საკანდიდატო დისერტაციას, რომელიც დაიცვა მოგვიანებით (1937 წ.).

1933 წ. შემოდგომიდან ი. ვეკუა მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. ამ პერიოდში მათემატიკისა და მექანიკის პრობლემებზე (ნ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით) მუდმივმოქმედი სამეცნიერო-კვლევითი სემინარის ერთ-ერთმა აქტიურმა მონაწილემ ი. ვეკუამ თავიდანვე მიიჭვია ყურადღება.

თეორიულ და გამოყენებით მათემატიკაში სამეცნიერო მიმართულებათა შორის ი. ვეკუას განსაკუთრებით იზიდავდა ელიფსური ტიპის კერძოწარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებათა თეორია და

ამ თეორიის სხვადასხვა გამოყენებანი. ამ მიმართულებით წარმოებული ინტენსიური გამოკვლევები, 1936 წ. დაწყებული, ორმოციან წლებში დასრულდა ორი დამოუკიდებელი ცვლადის შემთხვევაში ანალიზური კოეფიციენტებიანი ელიფსური ტიპის კერძოწარმოებულებიანი წრფივ დიფერენციალურ განტოლებათა მწყობრი თეორიის შექმნით. ასეთი განტოლებების ამონახსნთა ზოგადი კომპლექსური წარმოდგენები, რომლებიც ი. ვეკუამ ააგო, ხელსაყრელი აღმოჩნდნენ ამ ამონახსნების ახალი თვისებრივი და სტრუქტურული თავისებურებების დასადგენად, აგრეთვე განტოლებათა ფართო კლასისა და სასაზღვრო ამოცანების შესასწავლად, რომლებსაც მანამდე ცნობილი მეთოდები არ შეხებია.

ამ მიმართულებით ი. ვეკუას ნაშრომთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავმოყრილია მის მონოგრაფიაში „ელიფსურ განტოლებათა ამოხსნის ახალი მეთოდები“, რომელმაც 1950 წელს სსრკ სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

1939 წ. ი. ვეკუამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ხოლო 1940 წ. მას პროფესორის წოდება მიენიჭა. 1944 წ. ი. ვეკუა აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1946 წ. — ნამდვილ წევრად.

1940—1944 წწ. ი. ვეკუა იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, 1944—1947 წლებში — პრორექტორი სასწავლო ნაწილში, 1947—1951 წწ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი.

1951 წ. შემოდგომაზე ი. ვეკუა საცხოვრებლად გადავიდა მოსკოვში და მუშაობა დაიწყო ცენტრალური აეროჰიდროდინამიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგედ; პარალელურად იყო მოსკოვის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის თეორიული მექანიკის კათედრის გამგე. 1952 წ. ბოლოს იგი აირჩიეს მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიფერენციალურ განტოლებათა კათედრის პროფესორად, ხოლო 1954 წ. დანიშნეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ.

მოსკოვში ი. ვეკუამ გამოაქვეყნა შრომათა დიდი ციკლი განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორიაში. ასეთ ფუნქციათა თეორიის აგების ცდა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში დაიწყო იტალიელმა მათემატიკოსმა ე. ბელტრამიმ. ოცდაათიანი წლების დასაწყისში ტ. კარლემანმა და ნ. თეოდორესკუმ აჩვენეს, რომ ერთი კომპლექსური ცვლადის ანალიზურ ფუნქციათა ბევრი თვისება გადაიტანება, ორი დამოუკიდებელი ნამდვილი ცვლადის შემთხვევაში, პირველი რიგის ელიფსური ტიპის ორი დიფერენციალური განტოლებისაგან შედგენი-

ლი სისტემის ამონახსნზე. ი. ვეკუამ შექმნა ზოგადი თეორია ისეთი სისტემებისა, რომლებიც ამჟამად წარმოადგენენ განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორიის ძირითად შემადგენელ ნაწილს. თავისივე დადგენილი თეორემების გამოყენებით მან მიიღო მ. ლავრენტიევის მიერ აგებულ ბრტყელ არეთა კვანძოვანი ფორმულ ასახვათა გეომეტრიული თეორიის ანალიზური დასაბუთება, რაც უკანასკნელ ორმოცდაათწლეულში აღიარებულია ფუნქციათა თეორიის ერთ-ერთ საუკეთესო მიღწევად. პირველი რიგის ელიფსურ სისტემათა თეორიის შედეგები, რომლებიც ი. ვეკუამ დაადგინა, შევიდა მის მონოგრაფიაში — „განზოგადებული ანალიზური ფუნქციები“, რომელსაც 1963 წ. ლენინური პრემია მიენიჭა.

მოსკოვში ყოფნისას ი. ვეკუამ უშუალო მონაწილეობა მიიღო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების დაარსების პროექტის შემუშავებაში. იგი იყო ერთ-ერთი აქტიური წევრი მ. ლავრენტიევის მეთაურობით შექმნილი საინიციატივო ჯგუფისა, რომელიც სათავეში ჩაუდგა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში დიდი სამეცნიერო ცენტრის ორგანიზაციის განხორციელებას.

1957 წ. შეიქმნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილება. 1958 წლის მარტში, მ. ლავრენტიევის თანამჯდომარეობით, აირჩიეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების პრეზიდიუმში, რომლის წევრი ი. ვეკუაც იყო. ამავე წელს ი. ვეკუა აირჩიეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

1959 წ. ნოვოსიბირსკის მახლობლად, აკადემ-ქალაქში გაიხსნა ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის პირველი რექტორი 1965 წლამდე ი. ვეკუა იყო. შეთავსებით იგი ხელმძღვანელობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების პირობინამიკის ინსტიტუტის თეორიულ განყოფილებას.

1965 წლის გაზაფხულზე საქართველოს სსრ ხელმძღვანელი ორგანოების მოწვევით ი. ვეკუა დაბრუნდა მშობლიურ საქართველოში. ჯერ მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიაში, 1965-დან 1972 წლამდე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ხოლო 1972 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

ი. ვეკუა მაღალი მოქალაქეობრივი და სულიერი თვისებებით გამოირჩეოდა. ხშირად აღტაცებას და გაკვირვებას იწვევდა მისი მტკიცე, ვაჟკაციური და თავშეკავებული ქცევა რთულ მდგომარეობაში. მძიმე, უკუჩვენებელი სენით დაავადებული მეცნიერი შეუპოვრად განაგრძობდა კვლევა-ძიებით მუშაობას დრეკად გარსთა მათემატიკური თეორიის ახალი ვარიანტის შესაქმნელად, რომელიც შევიდა მისი გარდაცვალებ-

ბის შემდეგ გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „გარსთა თეორიის სხვადასხვა ვარიანტის აგების ზოგიერთი ზოგადი მეთოდი“ (მოსკოვი, 1982 წ.), რომელსაც 1984 წ. სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ამ მონოგრაფიის ინგლისური თარგმანი 1985 წ. გამოსცა „ბიტმანის“ გამომცემლობამ.

ი. ვეკუას სამეცნიერო შრომებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს. იგი იყო უცხოელი წევრი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის (ქ. ბერლინი), გერმანიის საბუნებისმეტყველო აკადემიის „ლეოპოლდინას“ (ქ. ჰალე), პალერმოს (სიცილიის მეცნიერებათა აკადემია) მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების აკადემიისა, პოლონეთის თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საზოგადოების, გამოყენებითი მათემატიკისა და მექანიკის დანიის ცენტრისა და სხვა სამეცნიერო საზოგადოებებისა. არჩეული იყო თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საერთაშორისო კავშირის გენერალური ასამბლეის წევრად. მინიჭებული ჰქონდა ჰალეს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის და იენის უნივერსიტეტის საპატიო სენატორის წოდებები.

პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასა ი. ვეკუას ღვაწლი. მის მრავალ ჯილდოს შორის აღსანიშნავია სოციალისტური შრომის გამირის ოქროს ვარსკვლავი და ხუთი ლენინის ორდენი.

ი. ვეკუა გარდაიცვალა 1977 წლის 2 დეკემბერს. მადლიერმა ქართველმა ხალხმა იგი საქართველოს ღირსეულ შვილთა სავანეს — მთაწმინდის მიწას მიაბარა.

ქვემოთ მოკლედ შევჩერდებით ი. ვეკუას მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობის მხოლოდ დამახასიათებელ მომენტებზე, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს მათემატიკის სათანადო პრობლემათა განვითარებაზე.

ელფისური განტოლებებისათვის ე. წ. არაფრედჰოლმის ტიპის ამოცანების თანამედროვე თეორიაში გამოსავალ წყაროს წარმოადგენს ერთი კომპლექსური ცვლადის ანალიზური ფუნქციებისათვის ზოგადი წრფივი სასაზღვრო ამოცანა, რომელიც ი. ვეკუამ ყოველმხრივ შეისწავლა.

რიმანისა და ჰილბერტის სახელებთან დაკავშირებულია ფუნქციათა თეორიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა: განვსაზღვროთ D არეში Φ ანალიზური ფუნქცია, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ სასაზღვრო პირობას:

$$\operatorname{Re} [\lambda (t) \Phi^+(t)] = g(t), \quad t \in \partial D, \quad (1)$$

სადაც λ და g — D არის ∂D საზღვარზე მოცემული ფუნქციები, $\Phi^+(t)$ საძიებელი ფუნქციის სასაზღვრო მნიშვნელობაა, როცა $z \rightarrow t$ არიდან.

თუ შემოვიღებთ აღნიშვნებს:

$$\lambda(t) = \lambda_1(t) + i\lambda_2(t), \quad \Phi(z) = \frac{\partial u}{\partial x} - i \frac{\partial u}{\partial y},$$

მაშინ (1) ამოცანა დაიყვანება დახრილი წარმოებულის ამოცანაზე ანუ: პუნკარეს ამოცანაზე: D არეში განვსაზღვროთ ისეთი $u(x, y)$ ჰარმონიული ფუნქცია, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ სასაზღვრო პირობას:

$$\lambda_1 \frac{\partial u}{\partial x} + \lambda_2 \frac{\partial u}{\partial y} = g(t), \quad t = x + iy \in \partial D. \quad (2)$$

(1) და (2) ამოცანების გამოკვლევასთან დაკავშირებით განხილულია შემდეგი სახის ერთგანზომილებიანი სინგულარული ინტეგრალური განტოლება

$$A\varphi(t) = \alpha(t)\varphi(t) + \beta(t)S\varphi(t) + T\varphi(t) = f(t), \quad t \in \partial D, \quad (3)$$

სადაც S კოშის სინგულარული ოპერატორია

$$S\varphi(t) = \frac{1}{\pi i} \int_{\partial D} \frac{\varphi(\tau) d\tau}{\tau - t}, \quad t \in \partial D,$$

ხოლო T — ფრედჰოლმის ინტეგრალური ოპერატორი.

(3) ტიპის განტოლებათა თეორიაში ერთ-ერთი ძირითადი საკითხია მისი დაყვანა ფრედჰოლმის მეორე გვარის ეკვივალენტურ განტოლებათა (ეკვივალენტური რეგულარიზაციის ამოცანა). სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში ამ საკითხის გადაჭრა ი. ვეკუას ბრწყინვალე შედეგად ითვლება. ორმოციან წლებში ი. ვეკუამ კარლემანის ერთი იდეის განვითარების გზით კლასიკურ შეზღუდვებში შეიმუშავა (3) ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის აგების გზა, რომელიც ამჟამად კარლემან-ვეკუას მეთოდის სახელწოდებითაა ცნობილი. ეს მეთოდი სამი ეტაპისაგან შედგება: 1) ეფექტურად იგება მახასიათებელი სინგულარული ინტეგრალური განტოლებისა (ე. ი. (3) განტოლების, სადაც $T=0$) და მასთან მიკავშირებული განტოლების ამონახსნები. 2) ამ ამონახსნების მეშვეობით ხდება (3) განტოლებისა და მასთან მიკავშირებული განტოლების ეკვივალენტური რეგულარიზაცია. 3) ასე აგებულ ფრედჰოლმის ინტეგრალურ განტოლებათა გამოყენებით მტკიცდება ნეტერის თეორემები (3) განტოლებისათვის.

რეგულარიზაციის ამოცანის ამოსახსნელად, გარდა ზემოაღნიშნული მეთოდისა, არსებობს კიდევ რეგულარიზაციის მეთოდი ოპერატორთა გადამრავლების გზით. ამ მეთოდის იდეა შემდეგში მდგომარე-

ოპს. სუქროა აიგოს A ტიპის (იხ. (3)) B ოპერატორი ისე, რომ განტოლება $BA\varphi = Bf$ აღმოჩნდეს ფრედჰოლმისეული. ამ შემთხვევაში B -ს უწოდებენ A ოპერატორის მარცხენა რეგულარიზატორს. თუ განტოლებები $A\varphi = f$ და $BA\varphi = Bf$ ერთმანეთის ეკვივალენტურია, როგორც არ უნდა იყოს f ფუნქციათა განხილული კლასიდან, მაშინ B ოპერატორს ეწოდება A ოპერატორის მარცხენა ეკვივალენტური რეგულარიზატორი. ცნობილი იყო, რომ ასეთი ოპერატორი ყოველთვის არ არსებობდა. ამასთან დაკავშირებით გაჩნდა კითხვა: ხომ არ შეიძლება (3) განტოლების ეკვივალენტური ფრედჰოლმის განტოლების აგების ამოცანა ისეთნაირად დაისვას, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს ამოხსნა? ი. ვეკუამ ამ კითხვას დადებითი პასუხი გასცა. მან დაამტკიცა, რომ არსებობს B ოპერატორი, რომელიც ავებულება ეფექტურად კვადრატურებში და ამასთან ან $A\varphi = f$ და $BA\varphi = Bf$ განტოლებებია ეკვივალენტური, ან ეკვივალენტურია $A\varphi = f$ და $AB\psi = f$ განტოლებები იმ აზრით, რომ თუ ერთ-ერთი მათგანი ამოხსნაღია, მაშინ ამოხსნაღია მეორეც და მათ ამონახსნებს შორის არსებობს კავშირი $\varphi = B\psi$.

(3) განტოლებისათვის აგებული თეორიის გამოყენებით ი. ვეკუამ მოახერხა (1) ამოცანის ამომწურავი ამოხსნა შემდეგი ზოლადი დასმით: D არეში, რომლის ∂D საზღვარი საკმაოდ გლუვი, მარტივი, ჩაკეტილი წერია, განესაზღვროთ Φ ანალიზური ფუნქცია, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ სასაზღვრო პირობას:

$$\operatorname{Re} \sum_{k=0}^m \{ \lambda_k(t) [\Phi^{(k)}(t)] + T_k [(\Phi^{(k)})^+] \} = f(t), \quad t \in \partial D, \quad (4)$$

სადაც $(\Phi^{(k)})^+$ არის Φ ფუნქციის k -ური რიგის წარმოებულის სასაზღვრო მნიშვნელობა D არედან, λ_k და f მოცემული ფუნქციებია ∂D საზღვარზე, ხოლო T_k — ფრედჰოლმის ინტეგრალური ოპერატორი.

(4) ამოცანის გამოკვლევაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ანალიზური ფუნქციებისათვის სპეციალურმა ინტეგრალურმა წარმოდგენამ, რომელიც პირველად ი. ვეკუამ მიიღო და ატარებს მის სახელს.

(4) ამოცანასთან დაკავშირებით დადგენილი ი. ვეკუას შედეგები საფუძველი გახდა მისი სხვა გამოკვლევებისა, რომლებიც მიეძღვნა ნორმალურად ამოხსნადი სასაზღვრო ამოცანების თეორიის აგებას შემდეგი მეორე რიგის ელიფსური ტიპის დიფერენციალური განტოლების შემთხვევაში:

$$\Delta u + a_1(x, y) \frac{\partial u}{\partial x} + a_2(x, y) \frac{\partial u}{\partial y} + a_3(x, y) u = 0, \quad (5)$$

სადაც a_1, a_2, a_3 — ანალიზური ფუნქციებია. ეს ამოცანები წარმოადგენენ (5) განტოლების შემთხვევაში (2) პუნქტარეს სასაზღვრო ამოცანის არსებით განზოგადებას. მართლაც, სასაზღვრო პირობას აქვს შემდეგი სახე:

$$\sum_{j+k \leq m} a_{jk}(t) \left[\frac{\partial^{j+k} u}{\partial x^j \partial y^k} + T_{jk} \left(\frac{\partial^{j+k} u}{\partial x^j \partial y^k} \right) \right] = f(t), \quad t \in \partial D, \quad (6)$$

სადაც a_{jk}, f ცნობილი ნამდვილი ფუნქციებია ∂D -ზე განსაზღვრული, T_{jk} ფრეღპოლმის ინტეგრალური ოპერატორებია.

ამ ამოცანის თეორიის აგების დროს ი. ვეკუამ არსებითად გამოიყენა (5) განტოლების ყველა რეგულარული ამონახსნის შემდეგი ინტეგრალური წარმოდგენა.

$$u(x, y) = \operatorname{Re} \left[\alpha(z, \bar{z}) \varphi(z) + \int_0^z \beta(z, \bar{z}, t) \varphi(t) dt \right], \quad (7)$$

სადაც φ ნებისმიერი ანალიზური ფუნქციაა, ხოლო α, β ფუნქციები აგებულნი a_1, a_2, a_3 კოეფიციენტების საშუალებით.

(7) ფორმულის მსგავსი ფორმულები მიღებული ჰქონდათ ტ. კარლემანს, ჰ. ლევის და ს. ბერგმანს. (7) ფორმულის აგების მეთოდი, რომელიც რიმან-ვეკუას სახელს ატარებს, ითვლება ყველაზე უფრო მარტივ, მკაფიო და კონსტრუქციულ მეთოდად.

ი. ვეკუამ (7) ფორმულა განაზოგადა მეორეზე უფრო მაღალი რიგის შემდეგი ელიფსური განტოლებისათვის:

$$\Delta^n u + \sum_{k=1}^n L_k (\Delta^{n-k} u) = 0, \quad (8)$$

სადაც L_k ანალიზურ კოეფიციენტებიანი k -ური რიგის წრფივი დიფერენციალური ოპერატორია. მიღებული ფორმულების გამოყენებით ი. ვეკუამ საკმარისი სისრულით გამოიკვლია პირველი სასაზღვრო ამოცანა: განვსაზღვროთ მარტივადმხულ D არეში (8) განტოლების რეგულარული ამონახსნი, რომელიც შემდეგ სასაზღვრო პირობებს აკმაყოფილებს:

$$\frac{d^j u}{dy^j} \Big|_{\partial D} = f_j, \quad j=0, 1, \dots, n-1,$$

სადაც v — ∂D კონტურის გარე ნორმალა. ელიფსური განტოლებების ამონახსნების ზოგადი კომპლექსური წარმოდგენების თეორიაში ყვე-

ლაზე მნიშვნელოვანია ი. ვეკუას მიერ აღმოჩენილი ფაქტი, რომ შესაძლებელია (8) განტოლებისათვის ნებისმიერი სასაზღვრო ამოცანის ეკვივალენტური რედუქცია ანალიზურ ფუნქციათა სისტემის შესაბამის სასაზღვრო ამოცანაზე.

კარგადაა ცნობილი, რომ $z = x + iy$ კომპლექსური ცვლადის $\Phi(z) = u(x, y) + iv(x, y)$ ანალიზურ ფუნქციათა თეორია კოში-რიმანის სისტემის

$$\frac{\partial u}{\partial x} - \frac{\partial v}{\partial y} = 0, \quad \frac{\partial u}{\partial y} + \frac{\partial v}{\partial x} = 0$$

თეორიას წარმოადგენს, ეს სისტემა კერძო შემთხვევაა შემდეგი ელიფსური სისტემისა

$$\frac{\partial u}{\partial x} - \frac{\partial v}{\partial y} + au + bv = 0, \quad \frac{\partial u}{\partial y} + \frac{\partial v}{\partial x} + cu + dv = 0, \quad (9)$$

სადაც a, b, c, d კოეფიციენტები ნამდვილი x, y ცვლადების ნამდვილ ფუნქციებს წარმოადგენენ.

$$\text{თუ შემოვიღებთ აღნიშვნებს } W(z) = u + iv, \quad 2 \frac{\partial}{\partial \bar{z}} = \frac{\partial}{\partial x} + i \frac{\partial}{\partial y},$$

$$4A = a + d + i(c - b), \quad 4B = a - d + i(c + b),$$

სისტემა (9) შეგვიძლია ჩავწეროთ შემდეგი სახით:

$$\frac{\partial W}{\partial \bar{z}} + AW + B\bar{W} = 0. \quad (10)$$

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ბელტრამი და პიკარი შეეცადნენ აეგოთ $W(z)$ განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორია. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი შედეგები მიიღეს ტ. კარლემანმა და მ. ლაერენტიევმა. ი. ვეკუას გამოკვლევათა ვრცელ ციკლში დადგენილია საფუძვლიანი შედეგები, რომლებიც ძირითადი შემადგენელი ნაწილია იმ ფუნქციათა თანამედროვე თეორიისა, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ განტოლებას:

$$\frac{\partial F}{\partial \bar{z}} - q_1 \frac{\partial F}{\partial z} - q_2 \frac{\partial \bar{F}}{\partial \bar{z}} + AF + B\bar{F} = 0. \quad (11)$$

თუ $|q_1| + |q_2| < 1$, მაშინ (11) განტოლება არის კომპლექსური ფორმით ჩაწერილი ორი განტოლებისაგან შედგენილი წრფივი ელიფსური სისტემა F ფუნქციის ნამდვილი და წარმოსახვითი ნაწილების მიმართ. აგებულ თეორიაში ცნობილი ფუნქციები q_1, q_2, A, B უნდა აკმაყოფილებდნენ სიგლუვის საკმარისად ზოგად პირობებს.

ი. ვეკუამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მეტაჰარმონიული ფუნქციების თეორიაში, რომელიც წარმოადგენს ჰელმჰოლცის

$$\frac{\partial^2 u}{\partial x_1^2} + \dots + \frac{\partial^2 u}{\partial x_p^2} + \lambda^2 u = 0, \quad \lambda = \text{const}, \quad p \geq 2 \quad (12)$$

განტოლების ამონახსნს. მან მოგვცა მეტაჰარმონიული ფუნქციების შემდეგი ინტეგრალური წარმოდგენა

$$u(x_1, x_2, \dots, x_p) = u_0(x_1, \dots, x_p) - \int_0^1 u_0(x_1 t, \dots, x_p t) t^p \frac{\partial}{\partial t} I_0(\lambda r \sqrt{1-t}) dt,$$

სადაც u_0 ნებისმიერი ჰარმონიული ფუნქციაა, $q = \frac{p-2}{2}$, $r^2 = x_1^2 + \dots + x_p^2$, I_0 ბესელის ფუნქციაა. მანვე ააგო ამ ფორმულის შექცეული ინტეგრალური წარმოდგენა და, გარდა ამისა, როცა λ ნამდვილი რიცხვია, აჩვენა, რომ ზომერფელდის პირობებიდან

$$\frac{\partial u}{\partial r} - i\lambda u = 0 \quad (r^{-q-1/2}), \quad u = O(r^{-q-1/2}),$$

რომლებიც უზრუნველყოფენ (12) განტოლების შემთხვევაში დირიხლეს ამოცანის ამონახსნის ერთადერთობას გარე არეში, მეორე პირობა პირველის შედეგია.

ი. ვეკუამ აჩვენა, რომ წრფივი ელიფსური ტიპის განტოლებათა ამონახსნების აგებისათვის მისი მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ ზოგერთი არაწრფივი ელიფსური ტიპის განტოლებათა ამონახსნების თვისებების შესასწავლად, ასე მაგალითად, მან შეისწავლა გაუსის განტოლების $\Delta \log(x, y) = -2K(x, y)$ ამონახსნების თვისებები, რამაც საშუალება მისცა მიეგნო დ. ჰილბერტის ცნობილი თეორემის მარტივი დამტკიცებისათვის, რომ არ არსებობს ისეთი უარყოფითი სიმრუდის მქონე რეგულარული ზედაპირი, რომელიც კონფორმულად ჰომეომორფულია მთელი სიბრტყისა.

ფართოა ი. ვეკუას ზემოაღნიშნული თეორიული შედეგების დიაპაზონი. ელიფსური განტოლებების კვლევის ვეკუასეულ მეთოდებზე დაყრდნობით შეიქმნა დრეკად გარსთა მწყობრი თეორია. კერძოდ, მან თვითონ წამოაყენა ამ თეორიის ორთ ვარიანტი, რომელთაგან პირველი გამოიყენება თხელი დამრეცი გარსის შესასწავლად, ხოლო მეორე — გარსთა უმომენტო თეორიის ასაგებად.

ნიშანცვლადი გაუსის სიმრუდის მქონე გარსთა უმომენტო თეორიაში მთავარია შერეული ტიპის განტოლებები. ეს განტოლებები ზოგი-

ერთ მნიშვნელოვან შემთხვევაში დაიყვანებიან ცნობილ, მოდელური სახის შერეული ტიპის განტოლებებზე, კერძოდ, პოლმგრენ-გელერ-სტეტის განტოლებაზე

$$y^{2m+1} \frac{\partial^2 u}{\partial x^2} + \frac{\partial^2 u}{\partial y^2} = 0$$

(სადაც $m \geq 0$ მთელი რიცხვია) და ლავრენტიევ-ბიწაძის განტოლებაზე

$$\frac{\partial^2 u}{\partial x^2} + \operatorname{sign} y \frac{\partial^2 u}{\partial y^2} = 0,$$

რომელთათვისაც ტრიკომის ამოცანა და მისი სხვადასხვა განზოგადება იქნეს საესებით გარკვეულ მექანიკურ და გეომეტრიულ აზრს. ამ ფაქტმა, რომელიც ი. ვეკუამ აღმოაჩინა ორმოცდაათიანი წლების შუახანებში, დიდი ინტერესი გამოიწვია მათემატიკოსებსა და მექანიკოსებს შორის, რადგან მანამდე შერეული ტიპის განტოლებები გამოიყენებოდა მხოლოდ აეროდინამიკის ამოცანებში.

ი. ვეკუას ღრმა და მნიშვნელოვანმა გამოკვლევებმა, მისმა აღმოჩენილმა ახალმა სამეცნიერო მიმართულებებმა ის ჩვენი დროის დიდ მეცნიერთა რიგებში ჩააყენეს.

ა. ბ ი წ ა ძ ე, ბ. ხ ვ ე დ ე ლ ი ძ ე.

ИЛЬЯ НЕСТОРОВИЧ ВЕКУА

(Краткий обзор научной и общественной деятельности)

Илья Несторович Векуа принадлежит к числу ученых, внесших значительный вклад в сокровищницу мировой науки. Он оставил неизгладимый след не только как выдающийся ученый, но и как крупный организатор науки и высшего образования.

И. Н. Векуа родился 23 апреля 1907 года в селе Шешелети Гальского района. 1925 г., после успешного завершения учебы в средней школе г. Зугдиди, он зачислен на физико-математический факультет Тбилисского государственного университета, который окончил в 1930 г. В том же году он продолжил учебу в г. Ленинграде, в аспирантуре Академии наук СССР. В годы аспирантуры (1930—33 гг.) И. Векуа специализировался под руководством А. Н. Крылова, Н. И. Мухелишвили и В. И. Смирнова по уравнениям математической физики. Применяя методы теории функций комплексного переменного, он изучил ряд задач статической и динамической теории упругости. Тогда он создал важные труды, посвященные теории распространения упругих волн в бесконечном слое с параллельными плоскими границами. Эти работы были положены в основу его кандидатской диссертации, которую он защитил позже (1937 г.).

С осени 1933 г. И. Н. Векуа работает на должности научного сотрудника физико-математического факультета Тбилисского государственного университета. В этот период он с самого начала привлек к себе внимание как один из самых активных участников постоянно действующего под руководством Н. И. Мухелишвили научно-исследовательского семинара по проблемам математики и механики.

Среди научных направлений теоретической и прикладной математики И. Н. Векуа особенно привлекала теория дифференциальных уравнений с частными производными эллиптического типа и различные приложения этой теории. Интенсивные исследования, проводимые в этом направлении и начатые им в 1936 г., были завершены в сороковых годах созданием стройной теории линейных дифференциальных уравнений эллиптического типа с аналитическими коэффициентами в частных производных в случае двух независимых переменных. Общие комплексные представления решений таких уравнений, построенные И. Н. Векуа, оказались удобными для установления новых структурных

и качественных особенностей этих решений, а также для изучения широкого класса уравнений и граничных задач, недоступных исследованию ранее известными методами.

Значительная часть работ И. Н. Векуа этого направления собрана в его монографии «Новые методы решения эллиптических уравнений», которая в 1950 г. была удостоена Государственной премии СССР.

В 1939 г. И. Н. Векуа защищает докторскую диссертацию, а в 1940 г. его утверждают в звании профессора. В 1944 г. его избирают членом-корреспондентом АН Грузинской ССР, а в 1946 г. — действительным членом.

В 1940—1944 гг. И. Н. Векуа был деканом физико-математического факультета Тбилисского государственного университета, в 1944—1947 гг. — проректором по учебной работе, а в 1947—1951 гг. — академиком-секретарем АН Грузинской ССР.

Осенью 1951 г. И. Н. Векуа переезжает в Москву и начинает работать в Центральном гидроаэродинамическом институте заведующим лабораторией и, параллельно, в Московском физико-техническом институте заведующим кафедрой теоретической механики. В конце 1952 г. его избирают профессором кафедры дифференциальных уравнений Московского государственного университета им. М. В. Ломоносова, а в 1954 г. назначают заместителем директора Математического института им. В. А. Стеклова АН СССР.

В Москве И. Н. Векуа был выполнен и опубликован большой цикл работ по теории обобщенных аналитических функций. Попытка построения теории таких функций была предпринята еще в девятнадцатом веке итальянским математиком Бельтрами. В начале тридцатых годов Карлеман и Теодореску показали, что целый ряд свойств аналитических функций одной комплексной переменной переносится на решение системы двух дифференциальных уравнений эллиптического типа первого порядка в случае двух действительных независимых переменных. И. Н. Векуа создал общую теорию систем, представляющих собой в настоящее время основную составную часть теории обобщенных аналитических функций. Применением установленных им теорем, он получил аналитическое обоснование построенной М. А. Лаврентьевым геометрической теории квазиконформных отображений плоских областей, что признано одним из лучших достижений в теории функций за последние пятьдесят лет. Установленные И. Н. Векуа результаты по теории эллиптических систем первого порядка вошли в его монографию «Обобщенные аналитические функции», которой в 1963 г. была присуждена Ленинская премия.

Во время своего пребывания в Москве И. Н. Векуа принимал непосредственное участие в разработке проекта создания Сибирского отделения Академии наук СССР. Он являлся одним из активных членов созданной М. А. Лаврентьевым ини-

циативной группы, ставшей во главе осуществления решения партии и правительства по организации на востоке нашей страны большого научного центра.

В 1957 г. было создано Сибирское отделение Академии наук СССР. В марте 1958 г. под председательством М. А. Лаврентьева был избран президиум СО АН СССР. Среди избранных членов этого органа находился и И. Н. Векуа. В том же году И. Н. Векуа был избран действительным членом АН СССР.

В 1959 г., недалеко от Новосибирска в Академгородке открылся Новосибирский государственный университет, первым ректором которого (до 1965 г.) был И. Н. Векуа. По совместительству он руководил теоретическим отделом Института гидродинамики СО АН СССР.

Весной 1965 г. по просьбе руководящих органов Грузинской ССР И. Н. Векуа возвратился в родную Грузию. С 1965 г. по 1972 г. он был ректором Тбилисского государственного университета, а с 1972 г. и до конца своей жизни — президентом Академии наук Грузинской ССР.

И. Н. Векуа был человеком, обладающим высокими гражданскими и душевными качествами. Часто вызвали удивление и восхищение его стойкость, мужество и сдержанность в сложных ситуациях. Пораженный тяжелым неизлечимым недугом ученый упорно продолжал научно-исследовательскую работу по созданию нового варианта математической теории упругих оболочек, которая вошла в опубликованную после его смерти монографию «Некоторые общие методы построения различных вариантов теории оболочек» (М., 1982 г.). Эта монография в 1984 г. была удостоена Государственной премии СССР. Ее английский перевод был издан в 1985 г. издательством «Питмана».

Научные заслуги И. Н. Векуа снискали международное признание. Он был иностранным членом: Академии наук ГДР (г. Берлин), Академии естествознания «Леопольдина» (г. Галле), Академии наук, литературы и искусства в Палермо (Академия наук Сицилии), Польского общества теоретической и прикладной механики, Датского центра прикладной математики и механики и других научных обществ. Был избран членом Генеральной ассамблеи международного союза по теоретической и прикладной механике. Ему были присуждены звания почетного доктора университета в Галле и почетного сенатора университета в Иене.

Партия и правительство высоко оценили заслуги И. Н. Векуа. Среди множества правительственных наград, которых был удостоен ученый, есть Золотая Звезда Героя социалистического труда и пять орденов Ленина.

И. Н. Векуа скончался 2 декабря 1977 года. Благодарный грузинский народ похоронил его в обители выдающихся сынов земли Грузинской — на горе «Мтацминда».

Теперь вкратце остановимся лишь на характерных моментах богатого наследия И. Н. Векуа, оказавших большое влияние на развитие соответствующих проблем математики.

В современной теории, так называемых нефредгольмовых задач для эллиптических уравнений, ключевое положение занимает всесторонне изученная И. Н. Векуа общая линейная краевая задача для аналитических функций одного комплексного аргумента.

С именем Римана и Гильберта связана одна из основных задач теории функций: найти аналитическую в области D функцию Φ , удовлетворяющую следующему граничному условию:

$$\operatorname{Re} [\lambda(t) \Phi^+(t)] = g(t), \quad t \in \partial D, \quad (1)$$

где λ и g — заданные функции на границе ∂D области D , а $\Phi^+(t)$ — граничное значение искомой функции при $z \rightarrow t$ из области D .

Если введем обозначения

$$\lambda(t) = \lambda_1(t) + i\lambda_2(t), \quad \Phi(z) = \frac{\partial u}{\partial x} - i \frac{\partial u}{\partial y},$$

то задача (1) может быть сведена к задаче с косой производной, т. е. к задаче Пуанкаре: определить в области D гармоническую функцию $u(x, y)$, удовлетворяющую следующему граничному условию:

$$\lambda_1 \frac{\partial u}{\partial x} + \lambda_2 \frac{\partial u}{\partial y} = g(t), \quad t = x + iy \in \partial D. \quad (2)$$

В связи с исследованием задач (1) и (2), рассмотрено следующее одномерное сингулярное интегральное уравнение

$$A\varphi(t) \equiv \alpha(t)\varphi(t) + \beta(t)S\varphi(t) + T\varphi(t) = f(t), \quad t \in \partial D, \quad (3)$$

где S — сингулярный оператор Коши

$$S\varphi(t) = \frac{1}{\pi i} \int_{\partial D} \frac{\varphi(\tau) d\tau}{\tau - t}, \quad t \in \partial D,$$

а T — интегральный оператор Фредгольма.

Одним из основных вопросов теории уравнений типа (3) является его сведение к эквивалентному уравнению Фредгольма второго рода (задача эквивалентной регуляризации). Решение этого вопроса считается блестящим результатом И. Н. Векуа в теории сингулярных интегральных уравнений. Путем развития одной идеи Т. Карлемана в 40-х гг. И. Н. Векуа в классических предположениях разработал путь построения теории интегральных уравнений (3), который в настоящее время называется

методом Карлемана-Векуа. Этот метод состоит из трех этапов: 1) эффективно строятся решения характеристического сингулярного интегрального уравнения (т. е. уравнения (3) при $T=0$) и союзного с ним уравнения; 2) посредством этих решений осуществляется эквивалентная регуляризация уравнения (3) и союзного с ним уравнения; 3) применением построенных таким образом интегральных уравнений Фредгольма доказываются теоремы Нетера для уравнения (3).

Для решения задачи регуляризации, помимо вышеприведенного метода, существует еще метод регуляризации путем перемножения операторов. Идея этого метода заключается в следующем: требуется построить оператор B типа A (см. (3)) так, чтобы уравнение $BA\varphi=Bf$ оказалось фредгольмовым. В этом случае B называется левым регуляризатором оператора A . Если уравнения $A\varphi=f$ и $BA\varphi=Bf$ эквивалентны, какова бы ни была f из рассмотренного класса функций, то оператор B называется левым эквивалентным регуляризатором оператора A . Было известно, что такой оператор не всегда существует. В этой связи возник вопрос: нельзя ли задачу построения уравнения Фредгольма, эквивалентного уравнению (3), поставить в такой редакции, чтобы она всегда имела решение? И. Н. Векуа дал на этот вопрос положительный ответ. Он доказал, что существует оператор B , построенный эффективно в квадратурах, причём или уравнения $A\varphi=f$ и $BA\varphi=Bf$ эквивалентны, или эквивалентны уравнения $A\varphi=f$ и $AB\psi=f$ в том смысле, что если одно из них разрешимо, то разрешимо и второе, и между их решениями существует связь $\varphi=B\psi$.

Применением построенной теории уравнения (3) И. Н. Векуа сумел исчерпывающе решить задачу (1) в следующей общей постановке: в области D , граница ∂D которой — достаточно гладкая, простая, замкнутая кривая, требуется найти аналитическую функцию Φ , удовлетворяющую следующему граничному условию:

$$\operatorname{Re} \sum_{k=0}^m \{\lambda_k(t) [\Phi^{(k)}(t)]^+ + T_k [(\Phi^{(k)})^+]\} = f(t), \quad t \in \partial D \quad (4)$$

где $(\Phi^{(k)})^+$ — граничное значение производной k -го порядка функции $\Phi(z)$ из области D ; λ_k и f — заданные функции на границе ∂D , а T_k — интегральный оператор Фредгольма. При исследовании краевой задачи (4) важную роль сыграло специальное интегральное представление аналитических функций, предложенное впервые И. Н. Векуа и носящее его имя.

Результаты И. Н. Векуа, установленные в связи с задачей (4), стали основой других его исследований, посвященных построению теории нормально разрешимых граничных задач в случае следующего дифференциального уравнения эллиптического типа второго порядка

$$\Delta u + a_1(x, y) \frac{\partial u}{\partial x} + a_2(x, y) \frac{\partial u}{\partial y} + a_3(x, y) u = 0, \quad (5)$$

где a_1, a_2, a_3 — аналитические функции. Эти задачи представляют собой существенное обобщение граничной задачи Пуанкаре (2) в случае уравнения (5). Действительно, граничное условие имеет следующий вид:

$$\sum_{j+K \leq m} a_{jk}(t) \left[\frac{\partial^{j+K} u}{\partial x^j \partial y^K} + T_{jk} \left(\frac{\partial^{j+K} u}{\partial x^j \partial y^K} \right) \right] = f(t), \quad t \in \partial D, \quad (6)$$

где a_{jk}, f — известные действительные функции, определенные на ∂D ; T_{jk} — интегральные операторы Фредгольма.

При построении теории этой задачи И. Н. Векуа существенно применил следующее интегральное представление всех регулярных решений уравнения (5):

$$u(x, y) = \operatorname{Re} \left[\alpha(z, \bar{z}) \varphi(z) + \int_0^z \beta(z, \bar{z}) \varphi(t) dt \right], \quad (7)$$

где $\varphi(z)$ — произвольная аналитическая функция, а α, β — функции, построенные с помощью коэффициентов a_1, a_2, a_3 .

Формулы сходные с (7) были получены Т. Карлеманом, Г. Левви и С. Бергманом. Метод построения формулы (7), носящий название метода Римана-Векуа, считается наипростейшим, ясным и конструктивным.

И. Н. Векуа обобщил формулу (7) для следующего эллиптического уравнения

$$\Delta^n u + \sum_{k=1}^n L_k (\Delta^{n-k} u) = 0, \quad (8)$$

где L_k — линейный дифференциальный оператор k -го порядка с аналитическими коэффициентами. При помощи полученных формул И. Н. Векуа удалось исследовать с достаточной полнотой первую краевую задачу нахождения регулярных в односвязной области решений этого уравнения, удовлетворяющих условиям

$$\left. \frac{d^j u}{dv^j} \right|_{\partial D} = f_j, \quad j=0, 1, \dots, n-1,$$

где ν — внешняя нормаль ∂D .

В теории общих комплексных представлений решений эллиптических уравнений примечательным является открытый И. Н. Векуа факт о возможности эквивалентной редукции любой краевой задачи для уравнения (8) к соответствующей краевой задаче для систем аналитических функций.

Хорошо известно, что теория аналитических функций $\Phi(z) = u(x, y) + iv(x, y)$ одного комплексного переменного $z = x + iy$ представляет собой теорию системы Коши-Римана

$$\frac{\partial u}{\partial x} - \frac{\partial v}{\partial y} = 0, \quad \frac{\partial u}{\partial y} + \frac{\partial v}{\partial x} = 0.$$

Эта система является частным случаем эллиптической системы

$$\begin{aligned} \frac{\partial u}{\partial x} - \frac{\partial v}{\partial y} + au + bv &= 0, \\ \frac{\partial u}{\partial y} + \frac{\partial v}{\partial x} + cu + dv &= 0 \end{aligned} \quad (9)$$

с действительными коэффициентами a, b, c, d , являющимися функциями действительных переменных x, y . В обозначениях

$$W(z) = u + iv, \quad 2 \frac{\partial}{\partial \bar{z}} = \frac{\partial}{\partial x} + i \frac{\partial}{\partial y}, \quad 4A = a + d + i(c - b),$$

$4B = a - d + i(c + b)$ система (9) записывается в виде

$$\frac{\partial W}{\partial \bar{z}} + AW + B\bar{W} = 0. \quad (10)$$

Ещё в прошлом столетии Бельтрами и Пикар попытались построить теорию обобщенных аналитических функций $W(z) = u + iv$.

Значительные результаты в этом направлении получили Карлеман и М. Лаврентьев. В обширном цикле исследований И. Н. Векуа установлены основополагающие результаты, составляющие основную составную часть современной теории функций, удовлетворяющих следующему уравнению:

$$\frac{\partial F}{\partial \bar{z}} - q_1 \frac{\partial F}{\partial z} - q_2 \frac{\partial \bar{F}}{\partial \bar{z}} + AF + B\bar{F} = 0. \quad (11)$$

Если $|q_1| + |q_2| < 1$, то уравнение (11) представляет собой записанную в комплексной форме линейную эллиптическую систему двух уравнений относительно действительной и мнимой частей функции F . В построенной теории от известных функций q_1, q_2, A, B требуются достаточно общие условия гладкости.

И. Н. Векуа внес значительный вклад в теорию метагармонических функций, представляющих собой решения уравнения Гельмгольца

$$\frac{\partial^2 u}{\partial x_1^2} + \dots + \frac{\partial^2 u}{\partial x_p^2} + \lambda^2 u = 0, \quad \lambda = \text{const}, \quad p \geq 2. \quad (12)$$

Он дал следующее интегральное представление метагармонических функций

$$u(x_1, \dots, x_p) = u_0(x_1, \dots, x_p) - \int_0^1 u_0(x_1 t, \dots, x_p t) t^q \frac{d}{dt} I_0(\lambda r \sqrt{1-t}) dt,$$

где u_0 — произвольная гармоническая функция, $q = \frac{p-2}{2}$, $r^2 = x_1^2 + \dots + x_p^2$, I_0 — функция Бесселя, он же построил обратное интегральное представление этой формулы и, кроме того, в случае действительного λ показал, что из условий Зоммерфельда

$$\frac{\partial u}{\partial r} - i\lambda u = 0 \quad (r^{-q-1/2}), \quad u = O(r^{-q-1/2}),$$

обеспечивающих единственность решения внешней задачи Дирихле в случае уравнения (12), второе условие является следствием первого.

И. Н. Векуа показал, что разработанный им метод построения решений линейных уравнений эллиптического типа может быть применен для изучения свойств решений некоторых нелинейных эллиптических уравнений. Так, например, он изучил свойства решений уравнения Гаусса

$$\Delta \log v(x, y) = -2K(x, y)v(x, y),$$

что дало ему возможность найти простое доказательство известной теоремы Д. Гильберта о несуществовании регулярной поверхности с отрицательной кривизной, конформно гомеоморфной ко всей плоскости.

Широк диапазон теоретических результатов, достигнутых И. Н. Векуа. Опираясь на методы И. Н. Векуа исследования эллиптических уравнений, была создана стройная теория упругих оболочек. В частности, он сам предложил два варианта этой теории, один из которых применяется для изучения тонких пологих оболочек, а второй — для построения безмоментной теории оболочек.

В безмоментной теории оболочек знакопеременной гауссовой кривизной главную роль играют уравнения смешанного типа. В некоторых важных случаях эти уравнения сводятся к известным модельным уравнениям смешанного типа, в частности к уравнению Хольмгрена-Геллерстедта

$$y^{2m+1} \frac{\partial^2 u}{\partial x^2} + \frac{\partial^2 u}{\partial y^2} = 0$$

($m \geq 0$ — целое число) и уравнению Лаврентьева — Бицадзе

$$\frac{\partial^2 u}{\partial x^2} + \text{sign } y \frac{\partial^2 u}{\partial y^2} = 0,$$

для которых задача Трикоми и различные ее обобщения приобретают вполне определенный механический и геометрический смысл. Этот факт, обнаруженный И. Н. Векуа в середине пятидесятых годов, вызвал огромный интерес математиков и механиков, поскольку прикладная важность уравнений смешанного типа раньше наблюдалась лишь в задачах аэродинамики.

Глубина и важность исследований И. Н. Векуа, открытые им новые научные направления поставили его в ряды крупнейших ученых нашего времени.

А. В. Бицадзе, Б. В. Хведелидзе

ILIA NESTOROVICH VEKUA

(A Brief Review of His Scientific and Social Activities)

Ilia Nestorovich Vekua belongs to those scientists who have made a considerable contribution to the treasury of world science. He left an ineffaceable memory not only as an outstanding scientist but also as a prominent organizer of science and higher education.

I. N. Vekua was born on April 23, 1907 in the Shesheleti village, Gali district (Georgian SSR). In 1925, after finishing his secondary education in the town of Zugdidi, he entered the physico-mathematical department of Tbilisi State University from which he graduated in 1930. The same year he took a post-graduate course at the USSR Academy of Sciences in Leningrad. When a post-graduate student (1930—33), I. N. Vekua specialized in the equations of mathematical physics under the guidance of A. N. Krylov, N. I. Muskhelishvili and V. I. Smirnov. Using the methods of the complex variable function theory, he investigated a number of problems of static and dynamic elasticity. During that period he wrote his major works devoted to the theory of distribution of elastic waves in an infinite layer with parallel plane boundaries. These studies formed the basis of his candidate's thesis which he defended in 1937.

From the autumn of 1933 I. N. Vekua was a researcher in the physico-mathematical department of Tbilisi State University. Here, from the beginning he attracted attention as one of the most active participants of the permanent seminar on problems of mathematics and mechanics led by N. I. Muskhelishvili.

Among the scientific areas of theoretical and applied mathematics I. N. Vekua was most of all interested in the theory of elliptic partial differential equations and its various applications. The intensive research in this direction, which he began in 1936, was

completed in the 1940s with the creation of an orderly theory of linear elliptic partial differential equations with analytic coefficients in the case of two independent variables. The general complex representations of solutions of such equations constructed by him proved convenient for finding new structural and qualitative properties of these solutions and for investigating a wide class of equations and boundary value problems that were difficult to investigate by the earlier methods.

A considerable part of I. N. Vekua's works in this direction entered his monograph „New Methods for Solving Elliptic Equations“ which was honoured with the State Prize of the USSR in 1950.

In 1939 I. N. Vekua defended his thesis for a doctor's degree and in 1940 he was granted the title of professor. In 1944 I. N. Vekua was elected a corresponding member of the Academy of Sciences of the Georgian SSR, and in 1946 he became its full member.

In the period from 1940 to 1944 I. N. Vekua was dean of the physico-mathematical department of Tbilisi State University, from 1944 to 1947 prorector in charge of educational work, and from 1947 to 1951 academician-secretary of the Academy of Sciences of the Georgian SSR.

In the autumn of 1951 I. N. Vekua moved to Moscow where he began to work at the Central Hydroaerodynamical Institute as head of a laboratory; simultaneously, he worked at the Moscow Physico-Engineering Institute as head of the chair of theoretical mechanics.

At the end of 1952 I. N. Vekua was elected professor of the chair of differential equations at Moscow M. V. Lomonosov State University, and in 1954 he was appointed deputy director of the V. A. Steklov Mathematical Institute of the Academy of Sciences of the USSR.

In Moscow I. N. Vekua wrote and published a large cycle of studies devoted to the so-called theory of generalized analytic functions. An attempt to construct the theory of such functions was made back in the 19th century by the Italian mathematician Beltrami. In the early 1930s Carleman and Theodorescu showed that a number of properties of analytic functions of one complex variable could be transferred to the solution of an elliptic system of

two first order differential equations in the case of two real independent variables. I. N. Vekua created a general theory which at present forms the basis of the theory of generalized analytic functions. Using the theorems he had derived, Vekua obtained an analytic substantiation of M. A. Lavrentyev's geometrical theory of quasiconformal mappings of plane domains, which has been recognized as one of the best achievements in the theory of functions over the last fifty years. I. N. Vekua's results in the theory of first order elliptic systems were included in his monograph „Generalized Analytic Functions“ which was awarded the Lenin Prize in 1963.

While in Moscow, I. N. Vekua took an active part in the elaboration of the project on establishing a Siberian branch of the USSR Academy of Sciences. He was an active member of the sponsoring group that was set up by M. A. Lavrentyev to direct the implementation of the decision of the Party and the Government on the organization of a large scientific centre in the east of the Soviet Union.

The Siberian Branch of the Academy of Sciences of the USSR was established in 1957. In March, 1958 its Presidium was elected under the chairmanship of M. A. Lavrentyev. I. N. Vekua was among the elected members of the Presidium. The same year I. N. Vekua was elected full member of the Academy of Sciences of the USSR. In 1959 Novosibirsk State University was opened at Akademgorodok, not far from the city of Novosibirsk, and I. N. Vekua was elected its first rector (till 1965). Simultaneously he was head of the theoretical department of the Siberian Institute of Aerodynamics.

In the spring of 1965 at the request of the government of the Georgian SSR I. N. Vekua returned to his native Georgia. From 1965 to 1972 he was Rector of Tbilisi State University, and from 1972 to the end of his life President of the Academy of Sciences of the Georgian SSR.

I. N. Vekua was a warm-hearted person with high civic qualities. His endurance, courage and self-control evoked delight and admiration. Though suffering from an incurable grave illness, the scientist persistently continued his research, resulting in the development of a new version of the mathematical theory of elastic shells. This version was included in his monograph „Theory of

"Shells: General Methods of Construction" which was published posthumously in Moscow in 1932. The monograph was awarded the State Prize of the USSR and its English translation was published by Pitman Publishers in 1985.

I. N. Vekua's scientific contribution earned him international recognition. He was a member of foreign Academies: the Academy of Sciences of the German Democratic Republic (Berlin), the Academy of Natural Sciences „Leopoldina“ (Halle), the Academy of Sciences of Literature and Art in Palermo (Sicilian Academy of Sciences), the Polish Society of Theoretical and Applied Mechanics, the Danish Centre of Applied Mathematics and Mechanics, and of other scientific societies. He was a member of the General Assembly of the International Union on Theoretical and Applied Mechanics (IUTAM). He was granted the titles of honorary doctor of Halle University and honorary senator of Jena University.

